



ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

ინტელექტუალური საკუთრება მასწავლებელთა ტრენინგის პაკეტი

მოდული 2. 21-ე საუკუნის კომპეტენციები

პირველი ვორქშოფი.
ინტელექტუალური
საკუთრების საფუძვლები
ტრენინგის კონსპექტი



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის
ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

მიზნები

- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს წარდგენა
- კომპეტენციის ცნებასთან დაკავშირებული ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების გაცნობა და გაანალიზება
- ჩარჩოს შემადგენელი პუნქტების დაკავშირება ინტელექტუალურ საკუთრებასთან

მასალები

- პრეზენტაცია (ტრენინგებისთვის)
- „საკვანძო კომპეტენციების ფაზლის“ აქტივობის მასალები
- ფურცლები და ბარათები ფაზლისთვის
- საკვანძო კომპეტენციების ბადე (თითო ეგზემპლარი ყოველი მონაწილისთვის)

პირველი ვორქშოპის მონახაზი

საფეხური	აქტივობა	მასალები
1. შესავალი	მთელი ჯგუფი	სლაიდები 1-9
2. საკვანძო კომპეტენციების ფაზლი	12-15-წევრიანი ჯგუფები სხვადასხვა სივრცეში	სლაიდი 10 ფაზლის მასალები
3. უკუკავშირი და შეჯამება	მთელი ჯგუფი	საკვანძო კომპეტენციების ბადე


სლაიდი 1



მეორე მოდული წარმოგვიდგენს საკვანძო კომპეტენციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, როგორც ჩარჩოს მოსწავლეთა შემოქმედებითობის, ინოვაციურობისა და მეწარმეობის უნარების განვითარებისთვის; ასევე, სასწავლო გეგმებში ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული, ასაკობრივად შესაფერისი საკითხების შესატანად.

ეს ვორქშოპი ზოგადად მიმოიხილავს საკვანძო კომპეტენციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, ასევე, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს.

სლაიდი 2




მოდული იმგვარადაა შედგენილი, რომ პასუხი გავცეთ შემდეგ კითხვებს:

როგორ შემიძლია ინტელექტუალური საკუთრების საკითხების ჩასმა სასწავლო პროცესში?

როგორ განვავითარო მოსწავლეთა კრეატიულობა ინტელექტუალური საკუთრების საკითხების დამუშავების გზით?

როგორ ვასწავლო ინტელექტუალური საკუთრების საკითხები, როცა დამატებითი დრო ამისთვის არ მაქვს?



მოდულის მიზანია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის საკვანძო კომპეტენციების გამოყენება მოსწავლეთა შემოქმედებითობის, ინოვაციურობისა და მეწარმეობის უნართა განვითარებისთვის, ასევე, სასწავლო გეგმაში მოსწავლეთა ასაკის შესაფერისი ინტელექტუალური საკუთრების საკითხების შესატანად.

სლაიდი 4



ეს მოდულიც სამი ნაწილისგან შედგება, ესენია:

საკვანძო კომპეტენციების ჩარჩო – მიმოიხილავს საკვანძო კომპეტენციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის, ასევე, ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ ცოდნას, უნარებსა და დამოკიდებულებებს;

ვაქციოთ იდეები ქმედებად – განიხილავს ინტელექტუალური საკუთრების სწავლების ჭრილში საკვანძო კომპეტენციების იმპლემენტაციისა და მათი სასწავლო გეგმაში ინტეგრირების განსხვავებულ მოდულებს.

აქტივობების ბორბალი – პრაქტიკული აქტივობების მეშვეობით უღრმავდება შეკითხვებს 21-ე საუკუნის კომპეტენციების სწავლების თემაზე.

სლაიდი 5



ქვემოთ მოცემული ჩანაწერების მეშვეობით მოკლედ გააცანით აუდიტორიას მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის საკვანძო კომპეტენციების ევროპული ჩარჩო.

დოკუმენტის სრული ვერსია ევროკავშირის ყველა ენაზე შეგიძლიათ იხილოთ აქ: https://ec.europa.eu/education/education-in-the-eu/council-recommendation-on-key-competences-for-lifelong-learning_en

დოკუმენტის ქართული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის (NEO) ვებსაიტის პუბლიკაციების გვერდზე: <http://erasmusplus.org.ge/ka/publications>

დოკუმენტის პირველი ვერსია გამოქვეყნდა 2006 წელს.

“სოციალური უფლებების ევროპული საყრდენის” ძირითადი პრინციპებია:

- ნებისმიერ ადამიანს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების, მომზადებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის უფლება, რათა შეინარჩუნოს და შეიძინოს უნარები, რომლებიც საზოგადოებაში სრულფასოვანი მონაწილეობისა და შრომის ბაზარზე წარმატებული ტრანზიციების საშუალებას იძლევა.
- ყველას აქვს უფლება, „მიიღოს დროული და მოთხოვნაზე დაფუძნებული დახმარება დასაქმების ან თვითდასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესების, მომზადებისა და გადამზადებისთვის, უწყვეტი განათლებისა და სამუშაოს მოძებნის ხელშეწყობისთვის.“

მოცემული ჩარჩო ეფუძნება რწმენას, რომ:

სწრაფად ცვალებად და უადრესად ურთიერთდაკავშირებულ მსოფლიოში ყოველ პიროვნებას დასჭირდება ფართო სპექტრის უნარები და კომპეტენციები, ასევე, მათი განუწყვეტლივ, მთელი სიცოცხლის მანძილზე განვითარება. ჩარჩოთი განსაზღვრული საკვანძო კომპეტენციები საფუძველს უყრის კიდევ უფრო თანასწორი და დემოკრატიული საზოგადოების შენებას. ისინი პასუხობს ინკლუზიური და მდგრადი ზრდა-განვითარების, სოციალური შეჭიდულობისა და დემოკრატიის კულტურის განმტკიცების სამომავლო მოთხოვნებს.

ჩარჩოს ხუთი მიზანი სლაიდზეა ჩამოთვლილი.

იმის გათვალისწინებით, თუ რა სწრაფად იცვლება ჩვენი უკიდურესად ურთიერთგადაჯაჭვული მსოფლიო, 2018 წელს ჩარჩო გადაიხედა ინტენსიური კონსულტაციების შემდეგ.


მაგრამ კონკრეტულად რა არის კომპეტენცია? მას სამი რამ ქმნის...

სლაიდი 6




ყოველი კომპეტენცია არის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების ერთიანობა, სადაც:
ცოდნა = ფაქტებს, ციფრებს, ცნებებს, იდეებს, თეორიებს – განათლების ჩვეულ ელემენტებს.

სლაიდი 7




მიეცით მონაწილეებს დრო სლაიდზე მოცემული განმარტების წასაკითხად და გასააზრებლად.
შესაძლებელია უნარების დასწავლა და დაუფლება?
დიახ.

სლაიდი 8



მიეცით მონაწილეებს დრო სლაიდზე მოცემული განმარტების წასაკითხად და გასააზრებლად.
შესაძლებელია დამოკიდებულებების დასწავლა და დაუფლება?
უფრო მეტად მათი შეცვლა და განვითარებაა შესაძლებელი – მით უფრო, სკოლის ასაკის მოსწავლეებში.

სლაიდი 9



სარეკომენდაციო ჩარჩო რვა საკვანძო კომპეტენციას გამოყოფს:

- საკვანძო კომპეტენციები არის ის კომპეტენციები, რომლებიც ყველა ადამიანს სჭირდება საკუთარი პიროვნების განხილვისა და განვითარების, დასაქმებადობის, სოციალური ჩართულობის, ცხოვრების მდგრადი წესის, მშვიდობიან საზოგადოებაში წარმატებული ცხოვრების, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და აქტიური მოქალაქეობისათვის. ეს კომპეტენციები ვითარდება მთელი სიცოცხლის მანძილზე (ადრეული ასაკიდან დაწყებული მთელი ზრდასრული ცხოვრების განმავლობაში) ფორმალური, არაფორმალური და თვითგანათლების მეშვეობით, მათ შორის ოჯახში, სკოლაში, სამუშაო ადგილზე, სამეზობლოსა და სხვა სათემო გარემოში.
- ყველა საკვანძო კომპეტენცია თანაბრად მნიშვნელოვანია, თითოეული მათგანი ხელს უწყობს საზოგადოებაში წარმატებულ ცხოვრებას. კომპეტენციების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გარემოში და სხვადასხვა კომბინაციით. ისინი ერთმანეთს ფარავს და ურთიერთდაკავშირებულია: ერთი დომენისთვის მნიშვნელოვანი ასპექტი ხელს უწყობს მეორე დომენის კომპეტენციას. ისეთი უნარები, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია და მოლაპარაკების უნარები, ანალიტიკური უნარები, კრეატიულობა და ინტერკულტურული უნარები ჩადებულია ყველა საკვანძო კომპეტენციაში.

სთხოვეთ ტრენინგის მონაწილეებს, ჯგუფებად დაიყონ და გააკეთონ გონებრივი იერიში საკვანძო კომპეტენციებზე. შეუძლიათ საკვანძო კომპეტენციების სიაგ შექმნან.

დააწკაპუნეთ და გამოაჩინეთ ბორბალი.

მიეცით მონაწილეებს დრო კომპეტენციების წასაკითხად.

უთხარიტ, რომ ახლა ისინი იმუშავენ მოზრდილ ჯგუფ(ებ)ში და შეეცდებიან ააწყონ კომპეტენციების დიდი ფაზლი.

სლაიდი 10

მოდული 2. საგნით კომპეტენციის თვალსაზრისით

- იმპლემენტაციაში.
- მუშაობის პოსტერი თითოეულ კომპეტენციასზე.
- აქტიური ქონების გაცანის ცოდნის ფარგლებს და დამოკიდებულების პარამეტრებს.
- წიგნითი თქვენი პარამეტრები და გამოტყუნი დაგეგმვა, თუ როგორ კომპეტენციის მიტოვებას იყენებ.
- დატანული პარამეტრი პოსტერზე.



ტრენინგის მონაწილეები მუშაობენ დაახლოებით 12-15 წევრისგან შემდგარ ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფს ურიგდება ფურცელი და ორი-სამი ბარათი.

პოსტერის შესაქმნელად ჯგუფები ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებენ.

სლაიდები 11 და 12

მოდული 2. საგნით კომპეტენციის ჩარჩო

კომპეტენცია	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის
1. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია
2. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია

მოდული 2. საგნით კომპეტენციის ჩარჩო

კომპეტენცია	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის
1. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია
2. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია

როდესაც ჯგუფები პოსტერებზე მუშაობას დაასრულებენ, თითოეულ მონაწილეს მიაწოდეთ საკვანძო კომპეტენციების ბაღი. ისინი ამოწმებენ თავიანთ პოსტერებს.

სლაიდი 13

მოდული 2. საგნით კომპეტენციის ჩარჩო

კომპეტენცია	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის	კომპეტენციის
1. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია
2. საგნით	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია	კომპეტენცია

ტრენინგის მონაწილეებს ჰკითხეთ, რას მიუთითებს ყვითლად მონიშნული ფრაზები.

დააწკაპუნეთ გამოსაჩენად.

მონაწილეებს მიეცით დრო ბაღში მონიშნული ფრაზების წასაკითხად, შემდეგ კი ჰკითხეთ, მათი აზრით, ამ ჩარჩოში კიდე თუ მოიძებნება ინტელექტუალურ საკუთრებასთან სხვა შესაძლო კავშირებიც.

ჯგუფები აკეთებენ გონებრივ იერიშს.

უთხარიტ მონაწილეებს, რომ ამ საკითხებს კვლავ დაუბრუნდებიან მომდევნო სესიებზე.

სლაიდი 14



შეჯამება

ტრენინგის მონაწილეებს შეატყობინეთ, რომ მომდევნო ვორქშოფები შეეხება:

- საკვანძო კომპეტენციების დანერგვას განათლების სისტემასა და სკოლებში
- საკვანძო კომპეტენციებზე მუშაობას საკლასო ოთახებში